დაიჯესტი

15 - 21 აგვისტო, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

მინესოტას შტატის ფედერალურმა სასამართლომ პაკისტანელი ექიმი და მაიოს კლინიკის კვლევითი პროექტების კოორდინატორი, მუჰამად მასუდი, დაკავებიდან 2 წლის შემდეგ უცხოური ტერორისტული ორგანიზაციისთვის მატერიალური დახმარების გაწევის მცდელობაში დამნაშავედ ცნო. მასუდი 2020 წელს მას შემდეგ დააკავეს, რაც გამოძიების ფედერალური ბიუროს ინფორმატორს დაეშის ლიდერის მიმართ ფიცის დადება და ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე თავდასხმების ორგანიზების სურვილი გაუმხილა.

უკრაინა

ჟურნალ VICE-ის ცნობით, უკრაინაში ამერიკული ულტრამემარჯვენე ჯგუფების წევრების რაოდენობა იზრდება. გამოცემის ცნობით, ამერიკაში ბაზირებული Boogaloo (თავზეხელაღებულთა) მოძრაობის ყოფილი ლიდერი, მაიკ დანი, უკრაინაშია და მას აქტიურად უერთდებიან ორგანიზაციის სხვა წევრები. ჟურნალი ორგანიზაციის წევრების უკრაინის და საკუთარი ორგანიზაციის დროშის ფონზე გადაღებულ ფოტოს აქვეყნებს.

სირია

სირია-ერაყის საზღვართან ახლოს, ალ-ტანფის რაიონში განლაგებულმა კოალიციურმა ჯარებმა ოფიციალური განცხადება გაავრცელეს, 15 აგვისტოს დილით, 6 საათსა და 30 წუთზე, უპილოტო საფრენი აპარატის ჩამოგდების შესახებ. კოალიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარია სამხედრო შენაერთებზე ბოლო პერიოდში გახშირებული თავდასხმების შესახებ.

სომალი

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის დეპარტამენტის განცხადებით, ტერორისტული ორგანიზაცია, ალ-შაბააბის, წინააღმდეგ ავტორიზებული წერტილოვანი საჰაერო დარტყმის შედეგად სომალის ცენტრში, თეედანთან ახლოს ორგანიზაციის 13 მებრძოლი დაიღუპა. ამერიკის შეერთებული შტატების აფრიკის სამეთაურო შტაბის

(Africom) განცხადებით, ალ-შაბააბის მხრიდან "ხშირია სომალის ეროვნულ არმიაზე თავდასხმები".

მალი

მალის საგარეო საქმეთა მინისტრის, აბდულაი დიოპის, მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაგზავნილ წერილში, საუბარია საფრანგეთის საჰაერო და კოსმოსური ძალების პილოტების მიერ მიმდინარე წელს მალის საჰაერო სივრცის სულ მცირე 50 დარღვევის შემთხვევის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრის განმარტებით, მსგავსი დარღვევების დროს, საფრანგეთი სადაზვერვო ინფორმაციას და ამუნიციას მალიში მოქმედ ძალადობრივ ექსტრემისტულ ჯგუფებს აწვდის.

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა

ვირუნგას ეროვნული პარკის ოპერატორმა როიტერსთან საუბრის დროს დაადასტურა, 16 აგვისტოს "23 მარტს აჯანყებულების" (M-23) მიერ განხორციელებული თავდასხმის შედეგად პარკის ტერიტორიაზე მშენებარე ჰიდროელექტროსადგურის დაზიანება. როიტერსის ინფორმაციით, აღნიშნული თავდასხმის შედეგად დაიღუპა რამდენიმე სამოქალაქო პირი.

ავღანეთი

17 აგვისტოს ღამით, ქაბულში ერთ-ერთ მეჩეთზე განხორციელებული სუიციდური თავდასხმის შედეგად გარდაცვლილთა რიცხვი 21-მდე გაიზარდა. ტალიბანის სპიკერმა, ზაბიჰულა მუჯაჰიდმა, მომხდართან დაკავშირებით მწუხარება გამოთქვა და „დამნაშავე პირების სამართლებრივი პასუხისგებისთვის მიცემის" აუცილებლობის შესახებ ისაუბრა.

ავღანეთის თავდაცვის სამინისტრომ 17 აგვისტოს გაავრცელა ინფორმაცია, ირანის საზღვარზე ჰაზარი მეთაურის, მაულაუი მეჰდის, ლიკვიდაციის შესახებ. სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში მეჰდი ბალქაბის რაიონში აჯანყებულთა ლიდერად არის მოხსენიებული.

ინდოეთი

ინდოეთის უსაფრთხოების სამსახურმა 16 აგვისტოს, ინდოეთის მიერ კონტროლირებად შოპიანის უბანში (ქაშმირი) განხორციელებულ თავდასხმასთან დაკავშირებით საგამოძიებო სამუშაოები დაიწყო. ქაშმირის უბანში მომხდარი სროლის შედეგად ახალგაზრდა ინდუსი გარდაიცვალა. აღნიშნული პირის ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია.